დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 07-08.11.2022.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12.01.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 17

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 17

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 39

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 52

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 58

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 70

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიაკონიძე, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, საქათველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ბაკარაძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან გრძელიძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო - VI
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის /საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება №392, 2012 წლის 13 სექტემბერი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 1994 წლიდან. იგი მოიცავს 240 კრედიტს, რომლის ათვისების შემდგეგ, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება „ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის" აკადემიური ხარისხი. პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები, კერძოდ, ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 123 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 22 კრედიტი (მათ შორის: საბაკალავრო ნაშრომი/ან ორი არჩევითი კურსი-10 კრედიტი); თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი; 60 კრედიტი, რომლის ათვისებაც სტუდენტს შეუძლია შემდეგი გზით: 1. უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი აკრედიტებული დამატებითი პროგრამით (60 კრედიტი); 2. უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული ძირითადი და დამატებითი აკრედიტებული პროგრამებიდან, თავისუფალი და არჩევითი კურსებით - 60 კრედიტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 აკადემიური პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2022 წლის 7-8 ნოემბერს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

წინასწარ დაგეგმილი და პროგრამის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუები პროგრამაში ჩართულ პირებთან და დაათვალიერეს პროგრამისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა, კოლეგიალურ და სამუშაო გარემოში შეხვედროდა ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს, დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს. ექპერტებმა პროგრამის ჯგუფისგან გამოითხოვეს კონკრეტული დამატებითი დოკუმენტაცია და ვიზიტის ბოლოს შეაჯერეს ინტერვიუს შედეგები. დასასრულს, პროგრამის განმახორციელებლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია და ძირითადად ითვალისწინებს რეგიონში არსებულ შრომის ბაზრის მოთხოვნებს ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებულებზე. პროგრამა ფუნქციონირებს პროგრამის განმახორციელებლებსა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში. მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, პროგრამაში ხორციელდება სასარგებლო ცვლილებები, მაგალითად, როგორიცაა ტურიზმის დარგობრივი ენის სასწავლო კურსის შეთავაზება ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტით, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიმუშაონ ის პრაქტიკული უნარები, რომელთაც მათ კარნახობს დასაქების ბაზარი. დადებითია პროგრამის კურსდამთავრებულების უკუკავშრიც.

  სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სასწავლო რესურსებით. გამართულად ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, დისტანციური სწავლების საჭიროების შემთხვევაში, გამართულად ფუნქციონირებს ონლაინ პლატფორმა.

  აღსანიშნავია უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის აკადემიური პერსონალის მუდმივი მზაობა, უზრუნველყონ სტუდენტები ყველა საჭირო სერვისით, შეუქმნან მყუდრო გარემო და, საჭიროების შემთხვევაში, მიაწოდონ კონსულტაციები და რჩევები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო და მეთოდურ ტრენინგებსა და სემინარებში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა, პროგრამის მიზნების და შედეგების სრულ შესაბამისობაში მოყვანა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის, პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასთან და მისაღწევ ენობრივ კომპეტენციასთან სინქრონიზაცია, პროგრამის ძირითადი და არჩევითი კურსების დარგობრივი კურსებით გამდიდრება, პრაქტიკის კომპონენტის გამრავლფეროვნება, ცალკეული კურსების შინაარსის დახვეწა, ინტერნაციონალიზაციის მიმრთულების გაძლიერება, ზრუნვა მეტი კვალიფიციური კადრის მოსაზიდად.

სტანდარტი 1: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების წანამძღვარ ჩანაწერში ჩასწორდეს ფორმულირება - ,,ინგლისურენოვანი სპეციალისტი" პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციით (ინგლისურის ფილოლოგი); ამავე ჩანაწერში, პროგრამასთან და დარგის სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს სამიზნე უნარის აღწერილობა, რამდენადაც პროგრამა (დეტალური სფეროს შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე) ვერ განავითარებს ,,სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ" გამოწვევებთან გამკლავების უნარს;
2. რეკომენდებულია ენის ფლობის მისაღწევი დონის პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრა (C1) და მისი ასახვა პროგრამის მიზნებსა და შედეგებში;
3. მიზნების მიღწევადობის და რეალისტურობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები გამომდინარეობდეს მხოლოდ ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებში განსაზღვრული მიზნებიდან და შედეგებიდან;
4. რეკომენდებულია მე-6 და მე-7 შედეგების რეფორმულირება და მათი მიღწევადობისა და რეალისტურობის უზრუნველყოფა (დაკორექტირდეს თარგმანთან დაკავშირებული

კომპეტენციების ჩანაწერი. მე-6 და მე-7 შედეგის უზრუნველყოფა მოხდეს სავალდებულო, და არა არჩევითი კურსების საშუალებით);

5. მიზნების და შედეგების შესაბამისობაში მოყვანის კვალდაკვალ, ჩასწორდეს სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა.
6. გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სწავლის შედეგების რეფორმულირების კვალდაკვალ.
7. პროგრამის აღწერილობასა და თვითშეფასების ანგარიშში დაზუსტდეს ტერმინები და სწორად განისაზღვროს პროგრამისთვის გამოყენებული შეფასების მეთოდების ჩამონათვალი.
8. რეკომენდებულია, პროგრამის ცალკეული საგნების (*„ინგლისური ენის ლექსიკოლოგია“, „ინგლისური ენის სტილისტიკა“, „ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა“, „ინგლისური ენის ფონეტიკა“, ,,დარგობრივი ტექსტების თარგმნის თეორია და პრაქტიკა,”* “რეფერირება-რეცენზირება”, ,,ინგლისური ენის ისტორია’’) შემთხვევაში განისაზღვროს დაშვების წინაპირობები და გამყარდეს გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცების იერარქია;
9. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში შეთავაზებული არადარგობრივი კურსები („კარიერული მართვა“. „მულტიკულტურული განათლება“, „კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა“). შეთავაზებული იქნას როგორც თავისუფალი კომპონენტი.
10. რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს ფილოლოგიის დარგისთვის მნიშვნელოვან თეორიული კურსებს (ლექსიკოგრაფიისა და ლინგვისტიკის კურსები), და პროფესიულ უნარებზე ორიენტირებულ კურსებს.
11. პროგრამის სავალდებულო სილაბუსებში („ინგლისური ენის ლექსიკოლოგია”, ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1, 2, 3, 4) უნდა გადაიხედოს და ჩასწორდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.
12. მოხდეს ,,ინგლისური ლიტერატურის ისტორიის” ოთხივე ნაწილის შინაარსის შესაბამოსობაში მოყვანა კურსის დასახელებასთან, მიზნებსა და შედეგებთან (ამოღებული იქნას ამერიკელი და ფრანგი ავტორები, შესასწავლი ავტორები შეესაბამებოდეს შესასწავლ ეპოქას).
13. პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპიროებების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.
14. რეკომენდებულია, პროგრამა ითვალისწინებდეს დივერსიფიცირებული პროფესიული პრაქტიკის შესაძლებლობას;

15. შესაბამის მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

16. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გახადოს ქმედითი არსებული მექანიზმები სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

17. იმ შემთხვევაში, თუ საგნები ,,კარიერული მართვა" და ,,კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა" კვლავ იქნება შეთავაზებული, რეკომენდებულია მათთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე ლექტორების მოძიება.

18. რეკომენდებულია, ხარისხის სამსახურის ჩართულობა გაძლიერდეს პროგრამის მიზნების და შედეგების ურთიერთმიმართების და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად;

19. რეკომენდირებულია, პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) წერილობით ეცნობოს აკადემიურ პერსონალს ინდივიდუალურ რეჟიმში და ამ პროცესს გააჩნდეს ფორმალიზებული სახე. აღნიშნული დადებითად აისახება პერსონალის მოტივაციაზე და ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას.

20. რეკომენდებულია, მოწვეული ექსპერტის მიერ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა უშუალოდ პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის წარდგენამდე, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

21. რეკომენდებულია, ხარისხის გარე მექანიზმების უზრუნველყოფისას, სათანადო ყურადღება დაეთმოს პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულებას.

22. რეკომენდებულია, საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს ღიად განთავსებული ვებ-გვერდზე, რათა არ მოხდეს გარეშე პირების მიერ კითხვარების შევსება. ალტერნატიულად, შესაძლებელია კითხვარი დაეგზავნოს სამიზნე ჯგუფს ელექტორნული ფოსტის და/ან სწავლების ელექტრონულ სისტემაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველი იქნებოდა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება და სამეცნიერო-კვლევითი სტატიების ინტეგრირება თეორიული და ფილოლოგის კომპეტენციის მაფორმირებელი ხასიათის („ინგლისური ლიტერატურის ისტორია", „თეორიული გრამატიკა", „ფონეტიკა", „სტილისტიკა", „ლექსიკოლოგია") სასწავლო კურსებში.
2. სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში, შესთავაზოს სტუდენტებს პირად რეზიუმეებზე მუშაობაში დახმარება, დაეხმაროს დასაქმების ბაზარზე საჭირო სხვადასხვა უნარების გამომუშავებაში.სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში, შესთავაზოს სტუდენტებს პირად რეზიუმეებზე მუშაობაში დახმარება, დაეხმაროს დასაქმების ბაზარზე საჭირო სხვადასხვა უნარების გამომუშავებაში.
3. სასურველია, სასწავლო რესურსების გაციფრულების პროცესში ბიბლიოთეკამ გამოიჩინოს სიფრთხილე, რომ არ მოხდეს საავტორო უფლებების უნებლიე დარღვევა. სასურველია სტუდენტებთან მოხდეს მხოლოდ კონკრეტული გვერდების გაზიარება და არა წიგნების სრული ტექსტებისა;
4. სასურველია, სტუდენტებისთვის დისტანციურ რეჟიმში ხელმისაწვდომი იყოს ყველა სამეცნიერო ბაზა, რომელზე წვდომის უფლებაც ბიბლიოთეკას გააჩნია (ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილია ხელმისაწვდომი);
5. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში გაიზარდოს სტუდენტური აქტივობებისთვის გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიციას „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით. აღნიშნულ დასკვნაში გაცემულია 22 რეკომენდაცია და 5 რჩევა. უნივერსიტეტი სრულად იზიარებს 10 რეკომენდაციას, 12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ გამოხატა ნაწილობრივ ან სრულიად განსხვავებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ პოზიციაზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

ექსპერტთა რეკომენდაცია №3-ის საპასუხოდ, დაწესებულება განმარტავს, რომ „«დ» მიზნის რეალისტურობა და მიღწევადობა ეყრდნობა სხვადასხვა სავალდებულო სასწავლო კურსს, კერძოდ, კურსის ფარგლებში გათვალისწინებულ მეთოდებსა და აქტივობებს“.

ექსპერტთა ჯგუფი აზუსტებს, რომ სხვადასხვა საგანში გამოყენებული სწავლის მეთოდები ვერ განავითარებს „დ“ მიზანში ნახსენებ კომპეტენციას, რადგან ხსენებული სამიზნე კომპეტენციების განვითარება (კერძოდ, სამოქალაქო ცნობიერება და კარიერის მართვა) აუცილებლად მოიაზრებს კომპლექსურ შინაარსობრივ ცოდნას და, ამასთან, კარიერის მართვა წარმოადგენს ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სფეროს. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი აზუსტებს, რომ საბაკალავრო პროგრამის სამიზნე კომპეტენციის განვითარება უნდა ეყრდნობოდეს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს (როგორც განმარტებულია ევროსაბჭოს სარეკომენდაციო დოკუმენტში - 2018 C / 189/01), რაც არ მიიღწევა მხოლოდ სწავლის მეთოდებით. ამასთან, ინტერვიუს დროს, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სწორედ ამ სამიზნე უნარების განვითარების მიზნით შემოიტანეს ეკვივალენტური სახელწოდების საგნები არჩევითი საგნების ბადეში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს, რომ პროგრამის სწავლის მიზნები უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ და მხოლოდ სავალდებულო საგნებს . ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეს რეკომენაცია რჩება უცვლელი.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

ექსპერტთა რეკომენდაცია №4-ის საპასუხოდ დაწესებულება განმარტავს შემდეგს:

ა) საბაკალავრო ნაშრომის ალტერნატივად შემოთავაზებული საგნის, რეფერირება-რეცენზირების ეკვივალენტურ უნარს ავითარებს საბაკალავრო ნაშრომი.

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ამ პასუხს და აზუსტებს, რომ საბაკალავრო ნაშრომი და ზემოხსენებული სასწავლო კურსი ვერ განაავითარებს თანაბარ უნარებს, სახელდობრ, ნაშრომის რეცენზირების უნარს.

ბ) რაც შეეხება დაწესებულების პასუხს მე-7 შედეგთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი, ისევე, როგორც მესამე რეკომენდაციის პასუხის შემთხვევაში, აზუსტებს, რომ კომპეტენციის (ამ შემთხვევაში „მაღალი სამოქალაქო ცნობიერება“) მიღწევადობა ვერ დაეყრდნობა მხოლოდ დისკუსიისა და ესეებზე მუშაობას.

"ექსპერტთა რეკომენდაცია №6-ის პასუხად, დაწესებულება განმარტავს, რომ „სწავლის მიზნებისა და შედეგების რეფორმულირება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს არსებითად ვერ შეცვლის“.

ექსპერტთა ჯგუფი აზუსტებს, რომ რეკომენდაცია მოიაზრებს არა შეფასების მექანიზმის არსებითად შეცვლას, არამედ მის გადახედვას. კერძოდ, ექსპერტთა დასკვნაში (გვ. 21) აღნიშნულია, რომ „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გამართულობის შეფასებას რამდენადმე ართულებს ის ფაქტი, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების ფორმულირება გასამართი და დასახვეწია, (იხ. 1.1. და 1.2.). ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც გასცემს ამ მიზნებისა და შედგების რეფორმულირების დასაბუთებულ რეკომენდაციას, თვლის, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გადასახედი იქნება შედეგებისა და მიზნების ცვლილების შესაბამისად.“ ამრიგად, ექსპერტთა რეკომენდაცია გულისხმობს მექანიზმის შინაარსის გადახედვას (მაგ., შეფასებისთვის გაწერილ დროს (ვადას, სემესტრებს და ა.შ), შეფასებისთვის გამოყენებულ სასწავლო კურსებს), რაც აუცილებლად დადგება დღის წესრიგში ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად."

აქედან გამომდინარე, მე-6 რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

დაწესებულების მიერ ექსპერტთა რეკომენდაცია №10-ის შესაბამისი განმარტებების საპასუხოდ, ექსპერტთა ჯგუფი აზუსტებს შემდეგს:

ა) ექსპერტების რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაში დეტალურ სფეროსთან დაკავშირებული კურსების რაოდენობის გაზრდას ძირითადი სფეროს არჩევითი საგნების ჩამონათვალში სფეროსთან დაუკავშირებელი საგნების ნაცვლად. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი უნდა იყოს ის კურსები, რომლებიც კურსდამთავრებულს დაეხმარება მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებასა და პროფესიულ სრულყოფაში. რამდენადაც პროგრამაში ლიტერატურის სწავლების კომპონენტი საკმაოდ მოცულობითია, რეკომენდაციაში ხაზგასმულია ლინგვისტიკის სხვადასხვა კურსის (რომელთა არჩევანშიც დაწესებულება, ცხადია, თავისუფალია) და, განსაკუთრებით, ლექსიკოგრაფიის შეთავაზების აუცილებლობა, რადგან ლექსიკოგრაფია ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულისთვის ერთ-ერთ საკვანძო სამაგისტრო მიმართულებას წარმოადგენს. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების პოზიციას, რომ ლექსიკოგრაფია შეიძლება დაემატოს ლექსიკოლოგიის კურსს, რამდენადაც ეს ორი საკმაოდ მოცულობით და სხვადასხვა სფეროს წარმოადგენს. აქვე, დაწესებულების საპასუხოდ, ვაზუსტებთ, რომ ინგლისური ფილოლოგიის შესავალი არ წარმოადგენს ლინგვისტიკის სფეროს კურსს, რამდენადაც ინგლისური ფილოლოგია ასევე მოიცავს ინგლისურ ლიტერატურას, ბრიტანეთის ზოგად კულტურული და ისტორიული კონტექსტის ცოდნას და ა. შ.

ბ) ასევე, დაწესებულების საპასუხოდ განვმარტავთ, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია არ მოიაზრებს ინგლისური ენის ყველა დარგობრივი კურსის შეთავაზებას. რეკომენდაციაში საუბარია მხოლოდ ისეთ კურსებზე, რომელთა საჭიროებაც გამოიკვეთა დამსაქმებლებთან საუბრის შედეგად. ამასთან, დამსაქმებლებთან საუბრისა და შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე გამოკვეთილია თარგმანმცოდნეობის პრაქტიკული და თეორიული კურსების რაოდენობის გაზრდის საჭიროებაც.

მე-10 რეკომენდაციაც რჩება უცვლელი.

14-ე რეკომენდაციის საპასუხოდ, დაწესებულება განმარტავს, რომ დივერსიფიცირებული პრაქტიკის შეთავაზება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ ხერხდება, რადგან სტუდენტების უმეტესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდანაა და მათთვის არაკომფორტულია დედაქალაქში პრაქტიკაზე წასვლა, მათ შორის ეკონომიკური თვალსაზრისით.

ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს ამ არგუმენტს, ვინაიდან აღნიშნული რეკომენდაცია არ გულისხმობდა დედაქალაქში პრაქტიკაზე წასვლას. მათი განხორციელება შესაძლებელია რეგიონის მასშტაბითაც, რაც დადასტურდა ადგილობრივ დამსაქმებლებთან და პარტნიორ

ორგანიზაციებთან ინტერვიუს დროს, სადაც ისინი გამოხატავდნენ საჭიროებას და მზაობას, მიეღოთ პრაქტიკაზე და დაესაქმებიათ ისეთი კადრები, რომელთაც ექნებოდათ სხვადასხვა დარგობრივი ენის (მათ შორის იურიდიული, სამედიცინი, საინჟინრო) ცოდნის და თარგმნის კომპეტენცია დ უნარი.

15-ე რეკომენდაციის საპასუხოდ, რომელიც შეეხება სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნის და ხანგრძლივობის განსაზღვრას შესაბამის მემორანდუმებსა და დანართებში, უნივერსიტეტი განმარტავს, რომ ეს მონაცემები დაზუსტდება დამატებითი ხელშეკრულების ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს ამ რეკომენდაციას, ვინაიდან პრაქტიკის ხანგრძლივობის, მიზნების და შედეგების, ისევე როგორც სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს აკრედიტაციის მეორე სტანდარტის ერთ-ერთ კრიტერიუმს.

16-ე რეკომენდაციის საპასუხოდ, უნივერსიტეტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის თითოეული რგოლი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტმა გამოხატა მოსაზრება, სტუდენტებში სურვილის გაღვივების მიზნით, უფრო მეტად გააქტიუროს სარეკლამო კამპანია, შეხვედრები წარმატებულ სტუდენტებთან, ვინც მონაწილეობა მიიღო გაცვლით პროგრამებში. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის პოზიციას, თუმცა, ამ ეტაპზე, შედეგების და პროცესის დაკვირვება-შეფასების საშუალება არ გვეძლევა, აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაცია უცვლელი უნდა დარჩეს.

ექსპერტთა რეკომენდაცია №17-ის პასუხად, დაწესებულების განმარტების პირველი ნაწილი, რომელიც შეეხება კურსს „კარიერული მართვა“ შეესაბამება ექსპერტთა რეკომენდაციას და მისასალმებელი იქნება მისი სამომავლოდ განხორციელება. რაც შეეხება მეორე კურსს _ „კომუნიკაციის თეორია“, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების არგუმენტს არ იღებს და აზუსტებს, რომ კურსის განხორციელების გამოცდილება და ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი არ მოიაზრებს კომუნიკაციის თეორიის ერთობ ფართო და სპეციფიკური სფეროს ცოდნას.

რეკომენდაცია #18

მოცემული რეკომენდაციის საპასუხოდ ინსტიტუცია განმარტავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში ხარისხის მართვის სამსახური აქტიურად იყო ჩართული. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარდა არაერთი შეხვედრა, სადაც განიხილეს პროგრამის მიზნები და შედეგები. ექსპერტთა ჯგუფი

ყურადღებით გაეცნო არგუმენტირებულ პოზიციას ამავე დასკვნის პირველ და მეორე სტანდარტთან მიმართებაში. როგორც აღმოჩნდა, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობას. შესაბამისად, ეს მოწმონს, რომ პროგრამის მიზნების და შედეგების ჩამოყალიბების ეტაპზე უფრო მეტად საჭიროა ხარისხის მართვის სამსახურის ჩართულობა, რადგან ამ მოცემულობით არ არის სრულყოფილი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უნდა დარჩეს უცვლელი ფორმით.

რეკომენდაცია #19

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება განმარტავს, რომ ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახური დეტალურად აცნობს სტუდენტთა შეფასებას აკადემიურ პერსონალს და შემდეგ წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ექსპერტთა ჯგუფი ინტერვიუების დროს გაესაუბრა აკადემიურ პერსონალს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ განმარტეს, რომ სტუდენტების მხრიდან მათი სასწავლო კურსების შეფასების შესახებ მხოლოდ მაშინ ესაუბრება პროგრამის ხელმძღვანელი, თუ ეს შეფასება მოიცავს უარყოფით კონტექსტს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, ეს შედეგები მათთვის უცნობია. ამ გარემოების გათვალისიწნებით ჩამოყალიბდა ეს რეკომენდაცია და ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ის უნდა დარჩეს უცვლელი სახით.

რეკომენდაცია #21

მოცემული რეკომენდაციის საპასუხოდ დაწესებულება განმარტავს, რომ მათ გაითვალისწინეს წინა აკრედიტაციის დროს გაცემული ყველა რეკომენდაცია. ცხადია, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უკანასკნელი წარმოების დროს გაცემულ რეკომენდაციებს, მათი უმრავლესობა ნამდვილად შესრულებულია, თუმცა აღსანიშნავია, რომ მაშინაც იყო რეკომენდაცია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკასთან მიმართებით. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი სახით.

რეკომენდაცია #22

აღნიშნული რეკომენდაციის საპასუხოდ, დაწესებულება განმარტავს, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო, იძულებულები შეიქმნენ დროებით კითხვარები განეთავსებინათ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების დროს მსგავსი მოსაზრება არ გაჟღერებულა. ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ გადაამოწმა ვებ-გვერდი და დაადგინა, რომ მიმდინარე ეტაპზე კითხვარები აღარ არის განთავსებული. თუმცა, აღნიშნული

გარემოება სცდება მოცემულ საანგარიშო პერიოდს და მოკლებული ვართ შესაძლებელობას გავითვალისწინოთ მიმდინარე შეფასებისას. ესქპერტთა ჯგუფი მიესალმება, თუ დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას და საქმიანობის მომდევნო ეტაპზე გაითვალისწინებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2012 წელს. ამ დროდან მოყოლებული პროგრამა განიცდის გარკვეულ ცვლილებას დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით. მათ შორის აღსანიშნავია საბიბლიოთეკო სასწავლო რესურსების განახლებაზე მუდმივი ზრუნვა, დისტანციური სწავლების უზრუნველყოფის მიზნით ონლაინ პლატფორმა moodle-ის სასწავლო პროცესში დანერგვა, დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, პროგრამაში დარგობრივი ენის (ტურიზმი, მასმედია, ბიზნესი) კურსების ინტეგრაცია და პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ჩაშენება ტურიზმის დარგობრივი ენის კურსში.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რეაკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნაწილობრივ ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურსა და პროგრამის თავისებურებებს, უსდ-ის მისიას, ხედვასა და სტრატეგიას, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კლასიფიკატორს და ენის ათვისების დარგობრივ სტანდარტს, ნაწილობრივ ასახავს, რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და როგორ შეესაბამება იგი უსდ-ის მისიას.

პროგრამის მიზნების განაცხადის, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სჯუ-ის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნების ფორმულირება საჭიროებს გადახედვას და გარკვეული თვალსაზრისით, სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. კერძოდ:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა *„უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში; უზრუნველყოს ... შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა... დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში“.*

მისიისა და ხედვის ამ დებულებებს ეხმიანება პროგრამის მიზნების წანამძღვარი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, პროგრამის მიზანია *„საქართველოს ევრო-ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე მრავალმხრივი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, კონკურენტუნარიანი, ინგლისურენოვანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს, გაუმკლავდეს თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ გამოწვევებს და უზრუნველყოს რეგიონის დასაქმების ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ინგლისურენოვანი კვალიფიციური კადრებით.“* ამ ჩანაწერით შესაძლებელია, დადასტურდეს პროგრამის მიზნების ბმა უსდ-ის მისიასთან, თუმცა, ექსპერტების მოსაზრებით, ფრაზა „ინგლისურენოვანი სპეციალისტი“ არ შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შინაარსს და უგულველყოფს პროგრამის კურიკულუმით მისაღწევ შედეგებს. შესაბამისად, საჭიროა იგი ჩასწორდეს ფორმულირებით - ,,ინგლისურის ფილოლოგი.'' ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს ჩანაწერი ზედმეტად განზოგადებულია, რამდენადაც ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის შინაარსი და დარგის სპეციფიკა არ ითვალისწინებს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ გამოწვევებთან გამკლავებისთვის საჭირო კომპეტენციათა განვითარებას და აღნიშნული შედეგები მოცემული პროგრამის ფარგლებში ვერ მიიღწევა. შესაბამისად, საჭიროა ამ ჩანაწერის სწავლის სფეროსთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროგრამის მიზნები ნაწილობრივ მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, თუმცა, მიზნების ფორმულირება არასრულად ასახავს იმ დარგობრივ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციას, რომლებიც პროგრამის გავლის შედეგად მიიღწევა (ამ კუთხით, მიზნები შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგი განაცხადით: „მისცეს ფართო ცოდნა ინგლისურ ფილოლოგიაში”). პროგრამის მიზნებში არ არის დაკონკრეტებული ენობრივი კომპეტენციის ის კონკრეტული ნიშნული, რომლის განვითარებასაც მიზნად ისახავს პროგრამა. ეს ნიშნული დაკონკრეტებულია სწავლის შედეგებში (B2+).პროგრამის მიზანში ნათქვამია, რომ ენის ცოდნის სამიზნე ნიშნული განისაზღვრება *„ინგლისურ ენაში ენების ფლობის ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით;”* მოცემული ჩარჩო B2+ დონეს მოიაზრებს, როგორც გარდამავალ საფეხურს მხოლოდ B2-სა და C1-ს შორის. საერთაშორისო გამოცდების ფარგლებში სპეციფიურია გამოცდის აპლიკანტის მიერ გამოვლენილი ცოდნის გაზომვა-შეფასების სისტემა და იგი ითვალისწინებს ენის ფლობის დონის განსაზღვრას ქულობრივი გრადაციის საფუძველზე. წარმოდგენილი პროგრამის მისაღწევ ენობრივ კომპეტენციად B2+ მითითება კი, უპირველეს ყოვლისა, პრობლემურია შედეგების გაზომვის თვალსაზრისით, ვინაიდან პროგრამაში მოქმედი და წარმოდგენილი შეფასების სისტემა, ისევე როგორც ინგლისური ენა VIII (B2+) სასწავლო კურსის შინაარსი, არ მოცავს ასეთ შესაძლებლობას. უფრო მეტიც, B2+ დონის კურსის შესწავლა C1 სახელმძღვანელოთი მიმდინარეობს. რაც კიდევ უფრო პრობლემურს ხდის მისაღწევი ენობრივი კომპეტეციის განსაზღვრა-გაზომვა-შეფასებას. პროგრამის ხელმძღვანელებთან და კურსის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, რა მოსაზრებით მოხდა მისაღწევ ენის ნიშნულად B2+ განსაზღვრა, მითუმეტეს როცა, პროგრამა მოიცავს საკმაოდ ინტენსიურ დატვირთვას ენის ზოგადი უნარების განვითარების მიზნით (8 სასწავლო კურსი) და ინგლისური ენა VIII იყენებს C1 დონის შესაბამის სახელმძღვანელოებს (Advanced). პროგრამის განმახორციელებლებს ამასთან დაკავშირებით გამოკვეთილი პოზიცია არ დაუფიქსირებიათ. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საჭიროა, მოხდეს ენის კომპეტენციაში მისაღწევი დონის პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრა (C1) და მისი ასახვა პროგრამის მიზნებში, შედეგებსა და შესაბამისი კურსის სილაბუსში.

პროგრამის ზოგიერთი მიზანი მოიცავს იმგვარ კომპეტენციებს, რომელთა მიღწევადობა და რეალისტურობა საეჭვოა და, ამასთან, სცდება დეტალური სფეროს ჩარჩოს: კერძოდ, პროგრამის დ) მიზანი - *„ხელი შეუწყოს: 21-ე საუკუნის გამოწვევების ფონზე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და პროფესიული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, პირადი კარიერის დაგეგმვას და წარმატებულ მართვას*“ - ცალსახად სირთულეს აჩენს ერთი მხრივ დეტალურ სფეროსთან შესაბამისობის, ხოლო, მეორე მხრივ, შესრულების თვალსაზრისით, რადგან პროგრამის ძირითად სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში არსად იძებნება სამოქალაქო ცნობიერებისა თუ კარიერის დაგეგმვა-მართვის კომპეტენციის გამოსამუშავებელი სავალდებულო საგნები. ცხადია, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ვერაფრით დაეყრდნობა არასავალდებულო კურსებს („კარიერული მართვა“, „ინგლისური ენა და სამოქალაქო აქტივიზმი“), რომელთა გავლის დაუდასტურებლად სავსებით შესაძლებელია პროგრამის დასრულება. შესაბამისად, ეს მიზანი ვერ ითვალისწინებს სწავლის სფეროს და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებას.

დაწესებულებას ჩატარებული აქვს რეგიონის შრომის ბაზრისა და კურსდამთავრებულთა კვლევა. კურსდამთავრებულთა კვლევებთან გაცნობის და ინტერვიუების საფუძველზე ვლინდება, რომ ინგლისური ენის სპეციალისტი მოთხოვნადი კადრია და პროგრამა მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონის განვითარებაში. გამოიკვეთა, რომ პროგრამა, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცდილობს, გაითვალისწინოს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, თუმცა, ამასთან დაკავშირებით შეინიშნება გარკვეული ხარვეზები, რომლებიც უფრო დეტალურად არის ახსნილი და შესაბამისი რეკომენდაციებია მოცემული 1.4 ქვესტანდარტში (იხ. 1.4 - „საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი”).

ინტერვიუების შედეგად ასევე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამის დაგეგმვა-განხორციელებაში ჩართული პირების მიერ. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის და განთავსებულია უსდ-ის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნების წანამძღვარ ჩანაწერში ჩასწორდეს ფორმულირება - "ინგლისურენოვანი სპეციალისტი" პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციით (ინგლისურის ფილოლოგი); ამავე ჩანაწერში, პროგრამასთან და დარგის სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს სამიზნე უნარის აღწერილობა, რამდენადაც პროგრამა (დეტალური სფეროს შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე) ვერ განავითარებს ,,სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ" გამოწვევებთან გამკლავების უნარს;

- რეკომენდებულია ენის ფლობის მისაღწევი დონის პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრა (C1) და მისი ასახვა პროგრამის მიზნებსა და შედეგებში;
- მიზნების მიღწევადობის და რეალისტურობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები გამომდინარეობდეს მხოლოდ ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებში განსაზღვრული მიზნებიდან და შედეგებიდან;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1პროგრამის მიზნები	☐	☐	X	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია ენის ათვისების არსებული სტანდარტის შესაბამისად. შედეგებში ჩაშლილია ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის ის კომპეტენციები, რომელთა მიღწევაც დაგეგმილია პროგრამის კომპონენტებით. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე და გათვალისწინებული იქნა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა რეკომენდაციები.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების, პროგრამის კურიკულუმისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სწავლის შედეგების მოცემული ქვესტანდარტის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, პროგრამის სწავლის შედეგების, კონკრეტულად კი, მე-2, მე-6 და მე-7 შედეგების შინაარსი საჭიროებს გადახედვას და რეფორმურიელებას, კერძოდ:

- მეორე შედეგი (*"ფლობს ინგლისურ ენას B2+ დონეზე ენების ფლობის ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით"*) საჭიროებს პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანას (აღნიშულზე მსჯელობა შესაბამისი რეკომენდაციით გთხოვთ, იხილოთ 1. 1. სტანდარტში).
- პროგრამის რამდენიმე შედეგი მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მიღწევადობის და რეალისტურობის კრიტერიუმს. მაგალითად, პროგრამის სავალდებულო ბადეში თარგმანის კომპეტენციას მიემართება მხოლოდ ერთი კურსი - „დარგობრივი თარგმანის თეორია და პრაქტიკა." ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს 5 კრედიტიანი კურსი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ვერ განავითარებს თარგმანის ამდენად ფართო და ზოგად კომპეტენციას, მითუმეტეს, როცა ამ საგანს არ აქვს წინაპირობა და არ ითვალისწინებს ცოდნის განმტკიცებას.
- ასევე, პროგრამის მე-6 შედეგში მოცემული შემდეგი ფორმულირება - *„აანალიზებს თარგმნის თეორიის, რეფერირება-რეცენზირების ... საბაზისო საკითხებს"* - წარმოადგენს არსებითად პრობლემურ ჩანაწერს, რადგან: 1) პროგრამის ბადეში მითითებულია არა თარგმანის თეორია, არამედ სხვა კურსი - „დარგობრივი თარგმანის თეორია და პრაქტიკა", რომელიც არ მოიცავს და არ გულისხმობს ზოგადად თარგმანის თეორიას; 2) რეფერირება-რეცენზირება წარმოადგენს არჩევით კურსს, რომელიც შეთავაზებულია, როგორც საბაკალავრო ნაშრომის ალტერნატივა. ამდენად, აქაც, როგორც მიზნების შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგი ეყრდნობა არჩევითი კურსით მიღებულ კომპეტენციას, რომლის დადასტურებაც არ არის გარანტირებული კურსის არჩევითი ხასიათიდან გამომდინარე. შესაბამისად, სწავლის შედეგის აღნიშნული ჩანაწერი რეფორმულირებას საჭიროებს; 3) პროგრამის მე-7 შედეგში მოცემული ჩანაწერი - „აქვს მაღალი სამოქალაქო ცნობიერება" - ვერ დასტურდება პროგრამის სავალდებულო საგნების ბადით (აღნიშნული შედეგი ერთი 4-კრედიტიანი არჩევითი კურსით - „ინგლისური ენა და სამოქალაქო განათლება" - არის განპირობებული), რაც სწავლის შედეგის რეფორმულირება/შეცვლის საჭიროებას სვამს დღის წესრიგში.
- პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა არ არის მკაფიო სწავლის შედგების რუკაში, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიზნები არ არის შესაფერისად ფორმულირებული და როგორც მიზნების, ასევე, შედეგების განაცხადის მიღწევადობა და რეალისტურობა ნაწილობრივ საეჭვოა. ამასთან, სწავლის შედეგებისა და მიზნების რუკაში სწავლის პირველი მიზანი ("სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა ინგლისურ

ფილოლოგიაში; ინგლისურ ენაში ენების ფლობის ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით”) რუკაზე არ არის დაკავშირებული მეექვსე შედეგთან, რომელშიც სწორედ ფილოლოგიური ცოდნის კომპონენტებია ჩაშლილი. ასევე, მაგალითად, მეოთხე მიზანი, სადაც საუბარია პასუხისმგებლობის გამომუშავებაზე, არ უკავშირდება პირველ და მეორე შედეგებს, რომლებიც უშუალოდ პროფესიული ცოდნის ათვისებას აღწერს.

ინგლისური ფილოლოგიის წარმოდგენილი პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება პროფესიით დასაქმების სფეროს მოთხოვნებს და სტუდენტს შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების კომპეტენციას აძლევს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ბადეში დარგობრივ არჩევით საგნებს სჭარბობს არადარგობრივი არჩევითი საგნები, რაც რამდენადმე ზღუდავს სტუდენტის არჩევანს, გაიღრმავოს ცოდნა პროფესიაში და უკეთ მოემზადოს სწავლის შემდგომი საფეხურისთვის (მაგალითად, დარგის სპეციფიკიდან და მომდევნო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა წარმოდგენილ პროგრამაში ლექსიკოგრაფიისა და ლინგვისტიკისა განსაკუთრებით, აქტუალური და თანამედროვე მიმართულების, ციფრული ლინგვისტიკის, თეორიული საგნების დამატება) და დარგობრივი ინგლისურის (სამედიცინო, იურიდიული და სხვ.) კურსების შეთავაზება (რეკომენდაცია გაცემულია სტანდარტი 1.4-ში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნების და შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მე-6 და მე-7 შედეგების რეფორმულირება და მათი მიღწევადობისა და რეალისტურობის უზრუნველყოფა (დაკორექტირდეს თარგმანთან დაკავშირებული კომპეტენციების ჩანაწერი. მე-6 და მე-7 შედეგის უზრუნველყოფა მოხდეს სავალდებულო, და არა არჩევითი კურსების საშუალებით);

- მიზნების და შედეგების შესაბამისობაში მოყვანის კვალდაკვალ, ჩასწორდეს სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☐	x	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების (მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და პროგრამის წარმოდგენის სავალდებულო ფორმა, პუნქტი 15. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება) შესაბამისად. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ნათლად არის გაწერილი თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამაში, ასევე, ცალკე თანდართულ დოკუმენტებში. შედეგების შეფასება ეყრდნობა გარკვეული „კონკრეტულ / განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების“ ერთიან შეფასებას, მოცემულია შესაბამისი კურსების ჩამონათვალი, გაწერილია სამიზნე ნიშნულები.

სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა ლოგიკურია სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულების შეფასების ადეკვატური მეთოდები. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი მეთოდები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. ინტერვიუების დროს, ასევე, დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობაც. შედეგების შეფასების სქემა ლოგიკური და გამართული ჩანს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპონენტის (სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის) გამართულობის შეფასებას რამდენადმე ართულებს ის ფაქტი, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების ფორმულირება გასამართი და დასახვეწია, (იხ. 1.1. და 1.2.). ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც გასცემს ამ მიზნებისა და შედგების რეფორმულირების დასაბუთებულ რეკომენდაციას, თვლის, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გადასახედი იქნება შედეგებისა და მიზნების ცვლილების შესაბამისად.

შედეგების შეფასების მექანიზმის აღწერილობაში აღნიშნულია შემდეგი: *„სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალებია: სტუდენტთა ნაშრომები, პრეზენტაციები, ესე, საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში რეპეტიტორიუმები (capstone course), პორტფოლიო, სიმულაცია, სალიცენზიო გამოცდა, ტესტი, საველე გამოცდილებისას ზედამხედველის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ. დამატებითი გამოცდა, რომელსაც კრედიტი არ ენიჭება და ფასდება დადებითი ან უარყოფითი შეფასებით.“* ზემოაღნიშულ ჩანაწერთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ მოწოდე

ბული დოკუმენტაციის საფუძველზე გაუგებარი აღმოჩნდა რომელ საგანში და რა

მიზნით ტარდება სალიცენზიო გამოცდა. ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა ამ საკითხის გარკვევას ინტერვიუს დროს. აღმოჩნდა, რომ ეს ჩანაწერი შეუსაბამოა მოცემული პროგრამისთვის და ექვემდებარება შესწორებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა
- სტუდენტთა ნაშრომები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სწავლის შედეგების რეფორმულირების კვალდაკვალ.

- პროგრამის აღწერილობასა და თვითშეფასების ანგარიშში დაზუსტდეს ტერმინები და სწორად განისაზღვროს პროგრამისთვის გამოყენებული შეფასების მეთოდების ჩამონათვალი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტი არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს. უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტი შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუს შედეგებით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობა მიიღო ყველა დაინტერესებულმა მხარემ - როგორც აკადემიურმა / მოწვეულმა / ადმინისტრაციულმა პერსონალმა, ასევე სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. წარმოდგენილია შესაბამისი კითხვარები, ოქმები, ფოტომასალა და სხვა დოკუმენტაცია.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ნაწილობრივ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირია: 240 კრედიტის ათვისების შემდგომ, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება „ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის" აკადემიური ხარისხი. პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო და არჩევითი კომპონენტი, კერძოდ:

ა) ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 123 კრედიტი;

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 22 კრედიტი (მათ შორის: საბაკალავრო ნაშრომი/ან ორი არჩევითი კურსი-10 კრედიტი);

გ) თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 35კრედიტი;

დ) 60 კრედიტი, რომლის ათვისებაც სტუდენტს შეეძლება შემდეგი ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევით: 1. უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი აკრედიტებული დამატებითი პროგრამით (60 კრედიტი); 2. უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული ძირითადი და დამატებითი აკრედიტებული პროგრამებიდან, თავისუფალი და არჩევითი კურსებით - 60 კრედიტი.

სასწავლო კურსები სემესტრულად ძირითადად ლოგიკური თანმიმდევრობით არის დალაგებული, თუმცა, პროგრამის რამდენიმე საკვანძო თეორიული საგნის (*„ინგლისური ენის ლექსიკოლოგია“, „ინგლისური ენის სტილისტიკა“, „ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა“, „ინგლისური ენის ფონეტიკა“, ‘დარგობრივი ტექსტების თარგმნის თეორია და პრაქტიკა“*) შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული დაშვების წინაპირობები, მაშინ როცა მათ ყველას მინიჭებული აქვს კოდი 2 (გაღრმავება). ამრიგად, დარღვეულია გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცების იერარქია. ამასთან, ტექსტის რეფერირება-რეცენზირებას მინიჭებული აქვს კოდი 3 - განმტკიცება, როცა მისი წინაპირობა მხოლოდ ერთი, გაცნობითი ხასიათის საგანი, აკადემიური წერაა.

ასევე, საგანს - ინგლისური ენის ისტორია - არ აქვს წინაპირობა, რაც, საგნის შინაარსობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ აყენებს შედეგებზე გასვლის რეალისტურობას. თეორიული გრამატიკისა და ფონეტიკის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე სტუდენტი ვერ შეძლებს ენის ისტორიის და მისი ფორმაცვალების სათანადოდ გააზრებას.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში, დარგობრივი სპეციფიკის კურსების პარალელურად, შეთავაზებულია შემდეგი საგნები: „კარიერული მართვა“. „მულტიკულტურული განათლება“, „კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა“.

სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საგნები არ წარმოადგენს ინგლისური ფილოლოგიის დარგში შემავალ კომპონენტს და სცდება

დარგობრივი სპეციფიკის (დეტალური სფეროს) ფარგლებს (ასე მაგალითად, „კარიერული მართვა“ - კარიერის მართვა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროა). ეს საგნები შეიძლება იყოს შეთავაზებული, როგორც თავისუფალი კრედიტი და არა ძირითადი სწავლის სფეროს საგანი.

ბაზრის კვლევის დოკუმენტის შესწავლის, ასევე დამსაქმებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობისთვის და იმისთვის, რომ მათ შეძლონ სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება ინგლისური ფილოლოგის ბაკალავრისთვის შესაფერისი კომპეტენციით, მნიშვნელოვანია, პროგრამაში ისწავლებოდეს და შეთავაზებული იყოს ფილოლოგიის დარგისთვის ძირითადი თეორიული კურსები (ლექსიკოგრაფიისა და ლინგვისტიკის კურსები), და ისეთი პროფესიულ უნარებზე ორიენტირებული კურსები, როგორიცაა დარგობრივი ინგლისური ენა - ინგლისური ენა მედიცინის, სამართლის, სამშენებლო მიმართულებით.

ასევე, ვინაიდან დამსაქმებლების ძირითადი მოთხოვნა ინგლისური ენის თარჯიმნების მიმართ იყო ორიენტირებული, მნიშვნელოვანია, პროგრამაში გაიზარდოს თარგმანის როგორც თეორიული, საბაზისო პრაქტიკული კურსიც - მაგალითად, „შესავალი თარგმანმცოდნეობაში“.

პროგრამის შინაარსი ძირითადად ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფილოლოგიის კომპეტენციის განმსაზღვრელი თეორიული კურსების („ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1, 2, 3, 4," „ფონეტიკა", „თეორიული გრამატიკა", „სტილისტიკა", „ლექსიკოლოგია") უმეტესობის სავალდებულო ლიტერატურაში არ არის, ან მწირად არის მოცემული თანამედროვე სტატიები, ან კვლევები.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას: თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია

(რაც, ასევე, ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს), რომ პროგრამის განვითარების პროცესში მოიძიეს ანალოგიური პროგრამები, მათ შორის, ჰელსინკისა და ვილნიუსის უნივერსიტეტების ინგლისური ფილოლოგიის პროგრამები, ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ძირითადი თემატიკა არის იდენტური, მცირე რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროგრამაში დარგობრივი საგნები არ არის შეთავაზებული უცხო ენაზე და, როგორც უკვე აღინიშნა, დარგობრივი კურსების სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურაში თითქმის არ არის გათვალისწინებული თეორიული და სამეცნიერო ხასიათის უცხოენოვანი სტატიები თუ კვლევები - აღნიშნულ კურსებში მითითებული უცხოენოვანი მასალა ძირითადად პრაქტიკული ხასიათის სასწავლო რესურსს წარმოადგენს. სასურველი იქნებოდა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება და სამეცნიერო-კვლევითი სტატიების ინტეგრირება სასწავლო კურსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურიკულუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებიი და შესაბამისი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის ცალკეული საგნების (*„ინგლისური ენის ლექსიკოლოგია“, „ინგლისური ენის სტილისტიკა“, „ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა“, „ინგლისური ენის ფონეტიკა“, ,,დარგობრივი ტექსტების თარგმნის თეორია და პრაქტიკა,”* ,,რეფერირება-რეცენზირება”, ,,ინგლისური ენის ისტორია”) შემთხვევაში განისაზღვროს დაშვების წინაპირობები და გამყარდეს გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცების იერარქია;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში შეთავაზებული არადარგობრივი კურსები („კარიერული მართვა“. „მულტიკულტურული განათლება“, „კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა“). შეთავაზებული იქნას როგორც თავისუფალი კომპონენტი .
- რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს ფილოლოგიის დარგისთვის მნიშვნელოვან თეორიული კურსებს (ლექსიკოგრაფიისა და ლინგვისტიკის კურსები), და პროფესიულ უნარებზე ორიენტირებულ კურსებს .

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნებოდა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება და სამეცნიერო-კვლევითი სტატიების ინტეგრირება თეორიული და ფილოლოგის კომპეტენციის მაფორმირებელი ხასიათის („ინგლისური ლიტერატურის ისტორია", „თეორიული გრამატიკა", „ფონეტიკა", „სტილისტიკა", „ლექსიკოლოგია") სასწავლო კურსებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	x	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტთა რაოდენობა 123-ია. ინგლისური ენა ისწავლება 8 სემესტრის განმავლობაში, რისთვისაც თითოეულ სემესტრში გათვალისწინებულია 6 კრედიტი (ჯამში 48 კრედიტი), 4 საკონტაქტო საათი კვირაში. გარდა ამისა, პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში, შეთავაზებულია დარგობრივი ენა ბიზნესის, ტურიზმისა და მასმედიის მიმართულებით, რაც უფრო მეტად ავითარებს სტუდენტის დარგობრივ კომპეტენციებს.

სავალდებულო კომპონენტში შეთავაზებულია ასევე ინგლისური ფილოლოგიის სფეროს თეორიული კურსები - თეორიული გრამატიკა, ენის ისტორია, ფონეტიკა, ლექსიკოლოგია და სტილისტიკა და ინგლისური ლიტერატურის ისტორიის 4-ნაწილიანი კურსი. მოცემული კურსების სილაბუსებში შეიმჩნევა გარკვეული ხარვეზები:

- ინგლისური ენის სტილისტიკის სილაბუსში ერთ-ერთ ძირითად მასალად მითითებულია ნიგერიის უნივერსიტეტის გამოცემული საკითხავი მასალა მათივე სასწავლებლის სტილისტიკის კურსისთვის, რომელიც გათვლილია უშუალოდ

კონკრეტული უნივერსიტეტის კურსის და მისი სტუდენტების სპეციფიკაზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საასურველი იქნებოდა მითითებული ლიტერატურის გამდიდრება.

- ლექსიკოლოგიის კურსის სილაბუსში მითითებული სავალდებულო მასალა ორიენტირებულია მეტწილად ლექსიკის გამოყენებაზე (vocabulary in use) და ნაკლებად ითვალისწინებს ლექსიკოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის სწავლებას. საჭიროა კურსში თეორიული კომპონენტის გაზრდა.

- ინგლისური ლიტერატურა პროგრამაში წარმოდგენილია ოთხი სავალდებულო კურსით, რაც მისასალმებელია, რამდენადაც ხელს უწყობს ფილოლოგიური ცოდნის გაღრმავებას. თუმცა, ინგლისური ლიტერატურის ოთხივე კურსის სილაბუსებში დაფიქსირდა შემდეგი შეუსაბამობები:
- სილაბუსების სწავლის შედეგების მიხედვით, სტუდენტი იცნობს ეპოქას და აანალიზებს კონკრეტული მწერლების ნაწარმოებებს. თუმცა, კურსების სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო და, ასევე, მსგავსი სახის ზოგადი აღწერილობითი ნაშრომი.
- ლიტერატურული ნაწარმოების (ტექსტები) მითითებულია მხოლოდ დამატებით ლიტერატურაში, რაც ნიშნავს, რომ სწავლის შედეგი ეყრდნობა დამატებით ლიტერატურას. ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტები, ლექტორის დავალებით, კითხულობენ მწერლების ნაწარმოებებს, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აუცილებელია სილაბუსების გადახედვა და შესასწავლი ავტორების ნაწარმოებების სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში გადატანა.
- ასევე, ინგლისური ლიტერატურის სილაბუსებში დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალი რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება აკადემიურ სტანდარტებს, რადგან: 1) მოიცავს ინტერნეტ-წყაროებს, სადაც ატვირთულია წიგნების pdf ვერსიები საავტორო უფლებების დარღვევით (eon.ge); 2) მითითებული აქვს facebook-ის პოსტი დამატებით ლიტერატურაში, რომელიც არ იძებნება და, როგორც თავად ლექტორმა ახსნა, მოიცავს ნაწარმოების შემოკლებულ ვერსიას; მიგვაჩნია, რომ ამგვარი მასალა არ წარმოადგენს აკადემიურად დასაბუთებულ, სანდო წყაროს, რომელსაც სილაბუსის სწავლის შედეგი დაეყრდნობა; 3) ზოგიერთი საიტი და ბლოგი არის მცდარი და სტუდენტისთვის შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მატარებელი (*მაგ., funtime.ge-ზე მოცემული სტატია ბაირონის შესახებ წარმოადგენს მცდარ ინფორმაციას, რომელიც ბათილდება პოეტის ოფიციალური ბიოგრაფიის და მისივე წერილების საფუძველზე და არ უნდა იყოს მითითებული, როგორც ბაირონის იტალიური პერიოდის შესახებ ძირითადი სასწავლო მასალა, სულ მცირე ქრონოლოგიური აცდენის გამო*).
- ინგლისური ლიტერატურის ისტორიის სილაბუსებში მითითებულია არაინგლისური ლიტერატურის წარმომადგენელი ავტორების ნაშრომები - ამერიკელი (მაგ., ერნესტ ჰემინგუეი, ედგარ ალან პო ფენიმორ კუპერი და სხვა) და ფრანგი ავტორის, ფრედრიკ ბეგბედერის რომანი.

იმავდროულად, ამერიკული ლიტერატურა მითითებულია არამარტო დამატებით მასალაში, არამედ, კურსის შინაარსშია გაწერილი და ინგლისური რომანტიზმის პარალელურად ისწავლება, მაგ., ედგარ ალან პოს შემოქმედება. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ამგვარი დარღვევა წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარვეზს საგნის სწავლების პროცესში, რამდენადაც ამერიკული და ინგლისური ლიტერატურა სხვადასხვა
ესთეტიკურ-ისტორიულ ფენომენს წარმოადგენს და მათი ამგვარად მიწოდება არ შეესაამება კურსის მიზნებსა და შედეგებს.

- ინგლისური ლიტერატურის ისტორია 4-ში, რომელიც მეოცე საუკუნის ლიტერატურაზეა ორიენტირებული, ჩასმულია ოსკარ უაილდის შემოქმედება, რომელიც ქრესტომათიულად მე-19 საუკუნის კონტექსტში ისწავლება ინგლისურ ლიტერატურაში.

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დროს, ზემოაღნიშნული კურსის ავტორმა გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება ზემოაღნიშნულ საკითხებზე და დაეთანხმა შესაბამისი ცვლილებების აუცილებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სავალდებულო სილაბუსებში („ინგლისური ენის ლექსიკოლოგია", ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1, 2, 3, 4) უნდა გადაიხედოს და ჩასწორდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

- მოხდეს ,,ინგლისური ლიტერატურის ისტორიის" ოთხივე ნაწილის შინაარსის შესაბამოსობაში მოყვანა კურსის დასახელებასთან, მიზნებსა და შედეგებთან (ამოღებული იქნას ამერიკელი და ფრანგი ავტორები, შესასწავლი ავტორები შეესაბამებოდეს შესასწავლ ეპოქას).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზისა და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაზე სტუდენტთა დაშვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის და/ან, უცხოენოვანი მოქალაქეებისთვის. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებიც ,,ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხნენ წარმოდგენილ პროგრამაზე, და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვეს უფლება, ისწავლონ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე.''(გვ.20, თვითშეფასების ანგარიში). ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა 2022 წლის აბიტურიენტის ცნობარში მოცემულ პროგრამაზე განთავსებული ინფორმაციით, რომლის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: ინგლისური ფილოლოგიის წარმოდგენილი პროგრამაზე დასაშვებად დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20%-ს წარმოადგენს და პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია სამი უცხო ენიდან (გერმანული, ინგლისური, ფრანგული) ერთ-ერთში 20%-იანი ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, რაც, ცხადია, ვერ იქნება იმის

დამადასტურებელი, რომ აბიტურიენტს ინგლისურ ენაში აქვს B1 დონის კომპეტენცია, რაც პროგრამაში შემოთავაზებული კურსების გათვალსწინებით, პროგრამის დასაძლევად აუცილებელ მინიმუმს წარმოადგენს. (მეტი სიცხადისთვის, პროგრამა ენობრივი კომპეტენციის განმავითარებელ კურსებს სთავაზობს B1+ დონიდან).

პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგად ცნობილი გახდა, რომ ენის ფლობის განმსაზღვრელი ტესტი უტარდებათ არა მხოლოდ უცხოენოვან სტუდენტებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, არამედ ეროვნული გამოცდების შედეგად მიღებულ სტუდენტებსაც და ხდება მათი დონეების მიხედვით ცალკე ჯგუფებად დაყოფა, თუმცა, სასწავლო მასალა, კურსის მიზნები, შედეგები, შინაარსი უცვლელი რჩება ყველა ჯგუფისთვის. პროგრამა არ ითვალისწინებს უფრო დაბალი ენობრივი კომპეტენციის კურსის შეთავაზების შესაძლებლობას, ამიტომაც პროგრამის განმახორციელებლები ცდილობენ უფრო დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტების დონე აამაღლონ ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით. ასევე, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ენის კურსს უწყვეტი განათლების ცენტრის ფარგლებში, რაც, როგორც პროგრამის განმახორციელებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ყოველთვის ეფექტური არ არის. არის შემთხვევევები, როცა სტუდენტი, რომელიც ვერ ძლევს ინგლისური ენის კომპონენტს, იღებს აკადემიურ წელს, რათა დამოუკიდებლად შეძლოს ამ პრობლემის მოგვარება, ანუ მიაღწიოს პროგრამის დასაძლევად საჭირო ენობრივი კომპეტენციის დონეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპიროებების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროგრამაზე მიღება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის კონტიგენტის დაგეგმვის პროცესში დაწესებულება ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულებაში არსებული ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალური რესურსებს, რომელიც საჭიროა მოცემული პროგრამის განხორციელებისთვის, ისევე როგორც ბაზრის კვლევის შედეგებს და დამსაქმებელთა უკუკავშირს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 1. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და მიღების წინაპირობები;
- დანართი 3. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დანართი 5. აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დუკუმენტები;
- დანართი 13. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები:
- 13.1. მარეგულირებელი დოკუმენტები - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები:
- უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/ დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმები/შედეგები და მათი გამოყენების შესახებ ინფორმაცია;
- სწავლის შედეგების შეფასება;
- ვებგვერდი www.sjuni.edu.ge
- აბიტურიეტის ცნობარი- 2022
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპიროებების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	x	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციასთან, ისევე როგორც დამატებით გამოთხოვილ მასალასთან გაცნობისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი კვლევითი კომპეტენციით. კვლევის უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსში მცირე პროექტების შესრულება (მაგ: ინგლისური ლიტერატურის ისტორია 4).

კლევითი უნარების უზრუნველყოფის ეფექტურ შესაძლებლობად შეიძლება ჩაითვალოს არჩევითი კომპონენტის სახით, პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის ინტეგრირებაც. სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია, შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი, რომლის პროცედურა, შესრულების ფორმატი და მოთხოვნები განსაზღვრულია შესაბამისი საუნივერსიტეტო დებულებებით. ექსერტთა ჯგუფი გაეცნო სტუდენტების მიერ შესრულებულ რამდენიმე საბაკალავრი ნაშრომს, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ

განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომის შესრულების მოთხოვნების დაცვითაა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტების კვლევით აქტივობას მხარს უჭერს უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს არაერთხელ აღინიშნა, რომ ისინი მუდმივად ინფორმირებული არიან პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობებზე. მაგალითად, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, ერთ-ერთი ბოლო კვლევითი აქტივობა ჩატარდა 2022 წლის 14 ივნისს - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც ინგლისური ენის სექციაში მონაწილეობა მიიღო ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის 11-მა სტუდენტმა. 2013 წლიდან დღემდე უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ზამთრის/ზაფხულის სკოლებში, საერთაშორისო მობილობაში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სტუდენტებს ეძლევათ არაფორმალური პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საუბრის კლუბში, რომელსაც, გარკვეული პერიოდულობით, ატარებს ამერიკელი მოხალისე. აღსანიშნავია, რომ ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტები, მოხალისეობრივ დონეზე, აქტიურად თანამშრომლობენ და მონაწილეობენ ამერიკის კუთხის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტოვობაში, რაც დადასტურდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან გასაუბრების დროსაც.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი შეესაბამება სწავლების საფეხურს და დაგეგმილია სწავლის ერთ-ერთ შედეგის შესაბამისად. პროფესიული პრაქტიკა ჩაშენებულია ტურიზმის დარგობრივი ენის კურსში. მოწოდებული დოკუმენტაციისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული პრაქტიკის ტურიზმის სფეროს დარგობრივი ინგლისურის კურსში ჩაშენება გამოწვეულია შრომის ბაზრის მოთხოვნით და კურსდამთავრებულების დასაქმების არსებული შესაძლებლობით. ასეთი მოთხოვნა დადასტურდა დამსაქმებლებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროსაც. აღნიშნული კურსის ფარგლებში პროფესიული პრაქტიკის ხანგრძლივობაა 6 საათი. კურსის სილაბუსში მოცემულია კურსის განმახორციელებლის, სტუდენტების და მიმღები მხარის პასუხისმგებლობა მოვალეობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამისი კურსის სილაბუთან გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრაქტიკას ხელმძღვანელობს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. აღნიშნული პირის კვალიფიკაცია დასტურდება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი CV-ის და ინტერვიუს საფუძველზეც. კურსის სილაბუსში მოცემულია პრაქტიკის პორტფოლიოს შედგენის, წარმოდგენის და შეფასების ფორმები, ფორმატი და კრიტერიუმები. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფილია სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, მაგრამ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, მემორანდუმში განისაზღვროს აღნიშნული პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში შესრულებულ პორტფოლიოებთან გაცნობით. გაირკვა, რომ ეს ამ ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი, რადგან ასეთი სახის პრაქტიკა პროგრამაში ახალი დანერგილია. კურსდამთავრებულები ძირითადად საუბრობენ პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილებაზე სკოლაში, რომლის კომპეტენციასაც უნივერსიტეტში არსებული სხვა დამატებითი პროგრამიდან იღებდნენ. დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა არსებული პრაქტიკა. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სკოლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულები წარმატებით თანამშრომლობდნენ მათთან პედაგოგიური პრაქტიკის მომართულებით და, უმეტესწილად, იქვე საქმდებოდნენ კიდეც.

წარმოდგენილი პროგრამის პარტნიორ დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგად, ასევე გამოიკვეთა, რომ რეგიონში არსებობს მაღალი მოთხოვნა თარჯიმნის მაღალი კომპეტენციის მქონე კადრებზე, ისევე როგორც ისეთ პროფესიონალებზე, რომლებსაც ექნებოდათ დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენცია და პრაქტიკული უნარები იურიდიულ, სამედიცინო, სოფლის მეურნეობის, მედიისა და კომუნიკაციების სფეროებში, რაც, ამავე დროს, შეესაბამება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განცხადებულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, კურსდამთავრებული აღჭურვილია თარჯიმნის კომპეტენციით და მათი პოტენციური დასაქმების სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ ტურისტული ორგანიზაციებით, არამედ მოიცავს მედია ორგანიზაციებში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში, გამომცემლობებში დასაქმების შესაძლებლობებს, რაც მოცემული პროგრამის სასწავლო და პრაქტიკის კომპონენტში არაა შესაბამისად ასახული და განვითარებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდებულია, პროგრამა ითვალისწინებდეს დივერსიფიცირებული პრაქტიკის შესაძლებლობას, თუნდაც კურსში ჩაშენებული პრაქტიკის სახით. ასევე, აუცილებელია, შესაბამისი მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს პრაქტიკის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 1. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამ და სილაბუსები;
- დანართი 9. ხელშეკრულებები. შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- დანართი 11. საბაკალავრო პროექტის/ ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია;
- გზამკვლევი ტექსტობრივი მითითების სტილი;
- კვლევითი საქმიანობის კონცეფცია;
- პლაგიატის დებულება;
- დანართი 13. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- დანართი14.უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა
- /დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმები/შედეგები და მათი გამოყენების შესახებ ინფორმაცია;
- დანართი 15. სწავლის შედეგების შეფასება;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (ადგილზე);
- სჯსუ-ს ვებგვერდი www.sjuni.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამა ითვალისწინებდეს დივერსიფიცირებული პროფესიული პრაქტიკის შესაძლებლობას;

- შესაბამის მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	X	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროგრამაში განსაზღვრულია სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება, პრეზენტაცია, პროექტზე/პრობლემაზე/დილემაზე დაფუძნებული სწავლება, უკუკავშირი, თეატრის მეთოდი, VaKE - ცოდნაზე და ღირებულებებზე დაფუძნებული სწავლება, ბიოგრაფიაზე და ნარატივზე დაფუძნებული სწავლება, გაჩერებით სწავლება, შებრუნებული გაკვეთილი და სხვა. ისინი შეესაბამება სწავლების საფეხურს, დარგობრივი

მახასიათებლებოს მოთხოვნებს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ისინი მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარის მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

კურსდამთავრებულის მიერ აღნიშნული უნარების ფლობა დადასტურდა ინტერვიუს დროს დამსაქმებლებლების მიერ მოწოდებული უკუკავშირის შედეგადაც. სტუდენტები ადასტურებენ სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას, ინტერაქციას, საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტენსიური კომუნიკაციის შესაძლებლობებს როგორც სალექციო, ისე დამატებითი, საკონსულტაციო შეხვედრების ფორმით.

სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. მოწოდებული დოკუმენტაციისა და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ინდივიდუალური გეგმის შედგენის შესაძლებლობას. თითოეული კურსის ფარგლებში, პროფესორი, სასწავლო წლის დასაწყისში, ახდენს სილაბუსის გაცნობას და სწავლა სწავლების მეთოდების განმარტებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტი სისტემატიურად ახორციელებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირებას სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე. მაგალითად, ,,უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ვებ-გვერდზე განთავსდა და აგრეთვე, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაეგზავნა ,,სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო (ტრენინგის პაკეტი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის - პუბლიკაცია შეიქმნა Erasmus + პროგრამის, მეორე აქტივობის (თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში) ერთობლივი პროექტის, Sustainable Learner-Centred Teaching – Advanced Recourse for Georgia and China (STAR) ფარგლებში''(გვ.24 თვითშეფასების ანგარიში).

პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ ისინი კარგად იცნობენ მოცემულ პროექტს და სარგებლობენ შემოთავაზებული მეთოდიკით. ასევე, პროგრამის აკადემიური პერსონალი თავადაც ახორციელებენ ტრენინგ კურსებს ამ მიმართულებით. მაგალითად, 2019 წლის 23-26 სექტემბერს მათი ორგანიზებით ჩატარდა Erasmus+ ASSET-ის ტრენინგების კურსი „განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები უმაღლესი განათლების სასწავლო გარემოსთვის“.

დისტანციური სწავლების საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს საჭირო ელექტრონული რესურსით, შემუშავებულია მეთოდოლოგია და სწავლების სისტემა, რომელიც არ იწვევს პროგრამის მიზნების და სწავლების შედეგების ცვლიელებას. უნივერსიტეტში ფუნციონირებს გამართული ელექტრონული პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ ფუნციონირებას დისტანციური სწავლების ფორმატშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 1. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები:
- დანართი 9, ხელშეკრულებები (ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტების (TEMPUS-ის 4 პროექტი და ERASMUS+ -ის სამი მიმდინარე პროექტი) (საგრანტო ხელშეკრულებები და ხელმძღვანელის სერტიფიკატები);
- დანართი 13. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები: მარეგულირებელი დოკუმენტები (13.1.1);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მუხლი 9. სწავლებისა და სწავლის მეთოდების გზამკვლევი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	x	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა შეფასება მოხდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო სილაბუსი გულისხმობს სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებას შუალედური და დასკვნითი შეფასებით, მათი ჯამით სტუდენტს ენიჭება საბოლოო შეფასება მაქსიმუმ 100 ქულის ოდენობით. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი წესით, წინასწარ გაწერილია თითოეული კურსის სილაბუსში და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია MOODLE-ის პლათფორმაზე. სილაბუსებში დეტალურადაა გაწერილი ქულათა განშლა, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სილაბუსებში გამოკითხვის ფორმებად განსაზღვრულია პრეზენტაცია, არგუმენტირებული ესე, სამუშაო ჯგუფში აქტიურობა, დისკუსიაში ჩართულობა, პრეზენტაცია და სხვა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ისევე როგორც, შეფასების კრიტერიუმები, შეფასების მინიმალური ზღვრები და წინაპირობები, ყველა სილაბუსისთვის ინდივიდუალურია (მაგალითად, კურსი „ბიზნეს ინგლისური“ ითჩალისწინებს: შუალედურ შეფასებებს (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 31ქულა) და დასკვნით შეფასებას (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა). ხოლო, „ინგლისური ენის'' : შუალედური შეფასებების ჯამის

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 33 ქულაა. დასკვნითი გამოცდის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 18 ქულა).

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების შემთხვევაში. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, შეფასების გაუმჯობესებისთვის, სტუდენტს ენიშნება დამატებითი გამოცდა.

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის, ისევე როგორც ჩატარებული ინტერვიუების საფუძელზე, იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში სტუდენტს ეძლევა აკადემიურ პერსონალთან საკუთარი მიღწევებისა და მათი გაუმჯობესების გზების განხილვის, ასევე შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა(გზამკვლევი ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-17 მუხლი - გამოცდების ჩატარების ერთიანი წესი, მე-12 პუნქტი, 12.1-12.2 ქვეპუნქტები, და მე-13 პუნქტი - გადაწყვეტილება გასაჩივრებული გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით). შეფასების გასაჩივრების ტექნიკური შესაძლებლობა, სტუდენტს ეძლევა როგორც ონლაინ, სტუდენტური ბაზის, ასევე, უნივერსიტეტში, დეკანის სახელზე დაწერილი განცხადების საშუალებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამაში ჩართულ პირებთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები არის გამჭირვალე. სასწავლო წლის დასაწყისში კურსის პედაგოგი აცნობს სტუდენტებს სწავლა-სწავლების და შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს. ასევე, პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ზეპირი გამოცდები წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში ტარდება კომისიური წესით. შეფასებას ახდენს არამარტო კურსის პედაგოგი, არამედ 2 პედაგოგი. ერთი პედაგოგს მიჰყავს კომუნიკაცია სტუდენტთან, მეორე პედაგოგი ახდენს დაკვირებას და ინიშნავს შედეგებს. დაცულია წერითი შეფასების ობიექტურობა და ვალიდურობაც. წერითი ფორმატის მქონე ნაშრომის შეფასებები ხორციელდება ელ. ფორმით.

წერითი ნაშრომებისთვის (საბაკალავრო ნაშრომი, რეფერატი) განსაზღვრულია ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილი - ჩიკაგოს სტილი.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციასა და ექსპერტების მიერ დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციასთან გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები. ყველა წერითი ნაშრომი მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამით Turnitin. ექსპერტთა ჯგუფს,

დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე, მიეწოდა ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმებული ნაშრომები, რომელსაც თან ერთვის შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის გამნახორციელებლებთან ინტერვიუების საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი სისტემატიურად ახდენენ შეფასების შედეგების ანალიზს, რათა განახორციელოს საჭირო აქტივობები სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 1. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები:
- დანართი 11. საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქცია:
- გზამკვლევი ტექსტობრივი მითითების სტილი;
- კვლევითი საქმიანობის კონცეფცია;
- პლაგიატის დებულება;
- დანართი 13. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- 13.1.1 მარეგულირებელი დოკუმენტები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 16. სტუდენტის შეფასების წესი; მუხლი 17. გამოცდების ჩატარების ერთიანი წესი, პუნქტი 12. გამოცდების შედეგების გასაჩივრება;
- 13.1.4 ხარისხის სამსახური კვლევები;
- დანართი 15. სწავლის შედეგების კვლევა;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტების შეფასება	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს

შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტის განვითარებაზე ორიენტირებული სხვადასხვა სერვისი. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე, მათთვის საინტერესო პროექტებსა თუ აქტივობებზე.

ინფორმაციის მიწოდების ძირითად წყაროდ, უნივერსიტეტი იყენებს საუნივერსიტეტო ვებ-გვერდს, ასევე, სტუდენტებს სიახლეები ეგზავნებათ სტუდენტური პორტალის - MOODLE-ს საშუალებით. ამავე პლათფორმაზეა განთავსებული სტუდენტების მიერ არჩეული კურსები, სილაბუსები, სასწავლო მასალების ნაწილი.

სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ყველა რგოლი მზად არის, სათანადო კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტებს. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში განსაზღვრულია საკონსულტაციო საათები, რომლის დროსაც, სტუდენტებს დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი კონსულტაციები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. გარდა ოფიციალურად განსაზღვრული საათებისა, სტუდენტები მუდმივად იღებენ უკუკავშირს საკუთარი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შესაძლებლობებზე.

უნივერსიტეტი რექტორის ინიციატივით ატარებს ყოველთვიურ შეხვედრებს „რექტორის საათი“, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, პირდაპირი კომუნიკაციის გზით გააჟღერონ რექტორთან საკუთარი აზრები და ინიციატივები აკადემიური სივრცის მოწყობასთან ან გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტების დასაქმების ხელშემწყობი კარიერული სამსახური, თუმცა, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა ეს სამსახური უფრო ქმედითი გახადოს. მაგალითად, შესთავაზოს სტუდენტებს პირად რეზიუმეებზე მუშაობაში დახმარება, დაეხმაროს დასაქმების ბაზარზე საჭირო სხვადასხვა უნარების გამომუშავებაში.

სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო პროექტებზე, უნივერსიტეტს აქვს კარგი საერთაშორისო კავშირები მსოფლიოს უნივერსიტეტებთან, რაც დადასტურდა წარმოდგენილი მემორანდუმებით, პროგრამის განმახორციელებლებთან და სტუდენებთან ინტერვიუს დროსაც. თუმცა, სტუდენტებთან ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ მათ ნაკლებად აქვთ სურვილი, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტი სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობის კუთხით, თანამშრომლობს Erasmus+ - თან. ასევე, სტუდენტებს სთავაზობს მონაწილეობა მიიღონ მევლანას გაცვლით პროექტებში. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებები პოლონეთის ბიდგოშჩის უნივერსიტეტთან, ვარშავის პედაგოგიურ უნივერსიტეტთან, სლოვაკეთის როზენბროკის კათოლიკურ უნივერსიტეტთან, ესტონეთის ტალინის უნივერსიტეტთან და სხვა. შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ყველანაირი რესურსი იმისთის, რომ ხელი შეუწყოს ადგილობრივი სტუდენტების მობილობას საერთაშორისო უნივერსიტეტებში. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტმა ქმედითი უნდა გახადოს არსებული მექანიზმები, რათა უზრუნველყოს სტუდენტების ჩართვა საერთაშორისო პროექტებში.

ინტერვიუებსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი ყოველი სემესტრის ბოლოს, სპეციალური კითხვარების მეშვეობით, ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგს. გამოკითხვები ანონიმურია და სტუდენტებს აძლევს საშუალებას მოსაზრება დააფიქსირონ კურსის მიმდინარეობასა და ლექტორთან მუშაობაზე. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის გამოკითხვები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერზე, სადაც ნებისმიერ მსურველს ეძლევა საშუალება შეავსოს (დეტალური მსჯელობა შესაბამისი რეკომენდაციით იხილეთ ქვესტანდარტში 5.3).

უნივერსიტეტში არსებობს არასასურველი შეფასების გასაჩივრების მექანიზმები. უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები აკმაყოფილებს საბაკალავრო საფეხურის სწავლებისთვის შესაბამის ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები/ჩატარებული კვლევები;

- უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები (დანართი6);
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაკვირვება;

- უნივერსიტეტის დადგენილება N20 (13.03.2018) "სსიპ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი";

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გახადოს ქმედითი არსებული მექანიზმები სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში, შესთავაზოს სტუდენტებს პირად რეზიუმეებზე მუშაობაში დახმარება, დაეხმაროს დასაქმების ბაზარზე საჭირო სხვადასხვა უნარების გამომუშავებაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	X	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x

	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას ახორციელებს 15 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 10 დარგის სპეციალისტია და გააჩნია სამეცნიერო კვლევის გამოცდილება, კვალიფიკაცია და განათლება შესაბამისი მიმართულებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს ძირითადად უდასტურდება

შესაბამისი სასწავლო კურსების განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენცია. თუმცა, პროგრამაში, კურსების განმახორციელებლებთან დაკავშირებით, აღინიშნება შემდეგი გარემოება, რომლებიც გარკვეული რისკის მატარებელია პროგრამის წარმატებით ფუნქციონირების თვალსაზრისით. კერძოდ:

- კურსს - „კომუნიკაციის თეორიას და პრაქტიკა“ უძღვებიან ლექტორები, რომლებსაც ამ მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაცია ან კვლევითი გამოცდილება არ უდასტურდებათ. იგივე შეიძლება ითქვას მოწვეულ ლექტორზე საგანში “კარიერული მართვა” რაც საყურადღებოა და დღის წესრიგში აყენებს პროგრამის მდგრადობისა და ხარისხიანად განხორციელების საკითხს. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა ამგვარი განაწილება ახსნეს რეგიონში კვალიფიციური კადრის ნაკლებობით.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ რეკომენდებულია, ზემოაღნიშნული კურსებისთვის შეირჩეს შესაბამის გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი.

პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. როგორც ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დასტურდება, პროგრამის ხელმძღვანელები ჩართულები არიან პროგრამის განხორციელება-გაუმჯობესების პროცესში.

ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			მქონე პერსონალი[7]	
სულ აკადემიური პერსონალი	**15**	**7**	**6**	**11**
- პროფესორი	3	1	1	3
- ასოცირებული პროფესორი	7	2	2	7
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	_	_	_	_
მოწვეული პერსონალი	4	3	2	_
სამეცნიერო პერსონალი	_	_	_	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- რაოდენობრივი მაჩვენებლები თვითშეფასების ანგარიშისთვის
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- იმ შემთხვევაში, თუ საგნები "კარიერული მართვა" და "კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა" კვლავ იქნება შეთავაზებული, რეკომენდებულია მათთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე ლექტორების მოძიება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, აგრეთვე, „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი“, რომელთა საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს

პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით, აკად. პერსონალს მოეთხოვება სამეცნიერო მუშაობა, როგორც სავალდებულო კომპონენტი. ამის მხარდასაჭერად დაწესებულებას აქვს კვლევითი საქმიანობის კონცეფცია, რომელიც ცხადად აღწერს სამეცნიერო დატვირთვის სქემას, მის ქულობრივ განაწილებასა და მხარდაჭერის შესაძლებლობებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ხარისხის სამსახური პროფესორთა სამეცნიერო მუშაობის ანალიზს ახორციელებს მათ მიერ წარმოდგენილ წლიური სამეცნიერო/პედაგოგიური და თვითშეფასების ანგარიშებზე დაყრდნობით.

2019 წლიდან დღემდე უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების კვლევას სამეცნიერო მუშაობის მიმართულებით. ამ მიმართებით გამოიკვეთა რამდენიმე ინიციატივა, რომელთა გათვალისწინებაც იგეგმება დაწესებულების მიერ. აქვე, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი გეგმავს ახალგაზრდა მკვლევარების განვითარების ხელშეწყობას გამოცდილ პროფესორებთან თანამშრომლობის საფუძველზე და, უნდა აღინიშნოს, რომ მისასალმებელია ამ მიზნით გადადგმული ნაბიჯები (იხ. თვითშეფასების ანგარიში, გვ. 42). ამგვარი ცვლილებები ასახულია პროგრამის საგნების ბადეშიც, სადაც ერთ საგანს ორი წამკითხველი ჰყავს, რაც უფროს და უმცროს თაობას შორის აკადემიური გამოცდილების გაზიარებას უწყობს ხელს. უნივერსიტეტი, ასევე, ზრუნავს, პერსონალის სახელფასო ანაზღაურების ზრდასა და მათთვის შესაფერისი პირობების შეთავაზებაზე, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს. კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და წახალისებისთვის უნივერსიტეტი ფინანსური დაგეგმვის დროს ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის დაფინანსების, თანადაფინანსების პროცედურებსა და უფლებამოსილ ორგანოებს.

პერსონალის პროფესიულ განვითარების, ინტერნაციონალიზაციის, ასევე მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

1. ტრენინგ-კურსების ორგანიზება-პროფესორ/მასწავლებლებისთვის;
2. მემორანდუმები სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტთან;

3. პერსონალის საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში აქტიური ჩართვა, გაცვლითი მობილობა (Erasmus+ და სხვა პროექების ფარგლებში) პროფესორ-მასწავლებლებისთვის, რაც დასტურდება პერსონალის პირადი საქმეებით;
4. ტრენინგებში/კონფერენციებში მონაწილეობის მიღება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე და სხვა, რაც დადასტურდა როგორც პირადი საქმეების, ასევე, ინტერვიუს შედეგად.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პერსონალისთვის გათვალისწინებულია ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები გაწერილია უნივერსიტეტის შინაგანაწესშიც. აღნიშნული ასპექტი მკაფიოდ იკითხება თავად პროგრამის ბიუჯეტშიც. ასევე გაიცემა შიდა გრანტებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამაში ჩართული პირების საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებლები (შრომითი კრებულები, სამეცნიერო ჟურნალები);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტის განხორციელებისას ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ადგილზე, უშუალოდ უნივერსიტეტის შემობაში ენახა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება მოცემული პროგრამის განხორციელების ეტაპზე. სასწავლო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, უნივერსიტეტის შენობაში არსებობს სივრცე, როგორც დამოუკიდებელი, ასევე ჯგუფური მუშაობისთვის.

საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს სასწავლო კურსებით გათვალისიწნებულ ძირითად ლიტერატურას, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეს არის ელექტრონული რესურსები. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფს ინსტიტუცია საავტორო უფლებების დაცვას, როდესაც ხდება კონკრეტული ლიტერატურის სრულად გაციფრულება. ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ელექტრონული რესურსების სრული ტექსტები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ კითხვის რეჟიმში და მათ აღნიშნული რესურსების გადმოწერა არ შეუძლიათ. ექსპერტთა ჯგუფი იაზრებს, რომ რესურსების გაციფრულება მიმდინარეობს საგანამანთლებლო მიზნებით, თუმცა, აქვე ურჩევს უნივერსიტეტს გამოიჩინოს სიფრთხილე, რათა არ მოხდეს მოცემული რესურსების

პირატული ვერსიების გავრცელება. პრევენციის მიზნით, სასურველია, არა მთლიანი ტექსტების ელექტორნულ ფორმატში გადაყვანა, არამედ გარკვეული ნაწილის, რომელიც სასწავლო პროცესში გამოიყენება.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, რა შესაძლებლობი არსებობდა სამეცნიერო ბაზებზე წვდომის თვასაზრისით. როგორც გაირკვა, მიმდინარე წელს უნივერსიტეტს აქვს წვდომის უფლება რამდენიმე სამეცნიერო ბაზაზე, აქედან უნივერსიტეტის მიღმა ხელმისაწვდომია მხოლოდ ორი (ScienceDirect, Scopus) ხოლო დანარჩენით სარგებლობა დასაშვებია უშუალოდ უნივერსიტეტის სივრციდან. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი გამარტავს, რომ სასურველია, სტუდენტებისთვის დისტანციურ რეჟიმში ხელმისაწვდომი იყოს ყველა ის რესურსი, რომელზე წვდომის უფლებაც ბიბლიოთეკას გააჩნია.

ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა, დაედგინა რა მომსახურებას სთავაზობს ბიბლიოთეკა სტუდენტებს რესურსებით სარგებლობის მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ბიბლიოთეკა განმარტავს, რომ ისინი საორიენტაციო შეხვედრისას სტუდენტებს აცნობენ სერვისების შესახებ ინფომაციას და, ასევე, პირად ელექტორნულ ფოსტაზე უგზავნიან. დამატებით, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია სამეცნიერო ბაზების გამოყენების ვიდეო ინსტრუქცია და უშუალოდ კონკრეტული ბაზების გამოყენების ინსტრუქცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ბიბლიოთეკის დებულება
- ბიბლიოთეკის ელექტორნული კატალოგი
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი ხელშეკრულება
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - sjuni.edu.ge

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასწავლო რესურსების გაციფრულების პროცესში ბიბლიოთეკამ გამოიჩინოს სიფრთხილე, რომ არ მოხდეს საავტორო უფლებების უნებლიე დარღვევა. სასურველია სტუდენტებთან მოხდეს მხოლოდ კონკრეტული გვერდების გაზიარება და არა წიგნების სრული ტექსტებისა;
- სასურველია, სტუდენტებისთვის დისტანციურ რეჟიმში ხელმისაწვდომი იყოს ყველა სამეცნიერო ბაზა, რომელზე წვდომის უფლებაც ბიბლიოთეკას გააჩნია (ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილია ხელმისაწვდომი);

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში შემუშავებულია საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის შესახებ დოკუმენტი, რომელიც მოიცავს აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული და დამხმარე პერსონალის ხელფასებს, ინფრასტრუქტურის განახლებისა და აღჭურვილობისთვის აუცილებელ ხარჯებს, სტიპენდიას. ასევე გაწერილია პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, შიდა

გრანტების, მივლინებების, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ხარჯები. პროგრამის ბიუჯეტში ასევე ასახულია ე.წ. „რისკის დაზღვევის“ ხარჯები, რომლებიც მოცემულია „გაუთვალისწინებელი ხარჯების“ ქუდქვეშ. აღნიშნული ასპექტი მნიშვნელოვანია, რადგან ემსახურება გაუთვალისწინებელი შემთხვევების პრევენციასა და მათი უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აქცენტი უმეტესად კონცენტრირებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის საჭიროებების მიმართულებით, როცა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპიდან გამომდინარე, (ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილშიც სტუდენტი ერთგანაა მხოლოდ ნახსენები), მათ აქტივობებს, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ჩანაწერი მიემართება - „სხვა სასწავლო აქტივობები“ ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 1500 ლარს, რაც დამრგვალებით მთლიანი ბიუჯეტის მხოლოდ 0.6%-ს შეადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა აზრით, სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში სტუდენტთა აქტივობებისთვის (შემეცნებითი ექსკურსია/ღონისძიება, სილაბუსით განსაზღვრული პროექტი/სტუდენტთა ინგლისურენოვანი კონფერენცია, სასაუბრო კლუბის ღონისძიებები) გათვლილი ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და, როგორც მათთან ინტერვიუს დროს გახდა ცნობილი, აღნიშნულ პროგრამაზე არსებობს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული ადგილები, შესაბამისად, პროგრამა თითქმის სრულად ითვისებს ვაკანტურ ადგილებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში გაიზარდოს სტუდენტური აქტივობებისთვის გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ მოცემული საგანამანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გამოიყენება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ის სტანდარტული მიდგომები, რომელიც არსებობს უნივერსიტეტში. კერძოდ, აღნიშნული პროცესი მოიცავს - „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლს. ეს პროცესი მოიცავს, როგორც პერსონალის შეფასებას, ასევე, სტუდენტთა გამოკითხვის ფორმების ანალიზს. მიღებული შედეგების საფუძველზე, ხარისხის სამსახური წარადგენს რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის მმართველ ორგანოსთან, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში იგეგმება ინტერვენციები.

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში ჩართულნი არიან, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, ფაკულტეტის დონეზე და საუნივერსიტეტო სერვისების მიმწოდებელი სტრუქტურული ერთეულიდან. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, შეხვედროდა თვითშეფასების პროცესში ჩართულ პერსონალს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში, როლები განაწილებულია მათი კომპეტენციების შესაბამისად, თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში ადმინისტრაციული პერსონალის აქტიურობა უფრო შეინიშნება, ვიდრე აკადემიური პერსონალის. ინტერვიუების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა

დაადგინა, რომ აკადემიური პერსონალი უფრო მეტად ფოკუსირებულია სასწავლო კურსის სილაბუსის მომზადებაზე და ნაკლებად კონცენტრირდება პროგრამის მასშტაბით მიზნებისა და შედეგების შესაბამისობასა და მიღწევის საკითხებზე (მოცემული საკითხის შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის აღწერილი ამავე ანგარიშის დასაწყისში, პირველი სტანდარტის შეფასების ნაწილში). რეკომენდებულია, ხარისხის სამსახურის ჩართულობა გაძლიერდეს პროგრამის მიზნების და შედეგების ურთიერთმიმართების და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურობის უზრუველსაყოფად. ამ მიზნით, შესაძლებელია დაიგეგმოს ტრენინგი და ან შეხვედრები აკადმეიურ პერსონალთან პროგრამის ხელმძღვანელებთან.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, როგორ ხდება აკადემიური პერსონალთან კომუნიკაცია მათი სასწავლო კურსების შეფასების გაცნობის მიზნით. როგორც ინტერვიუების დროს გახდა ცნობილი, თუ შეფასება დადებითია, ამის შესახებ ინფორმაციას აკადემიური პერსოანლი არ იღებს. თუ შეფასებისას გამოვლინდა ნაკლოვანებები და/ან გასაუმჯობესებელი მხარეები, ეს ინფორმაცია უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისგან ზეპირსიტყვიერად მიეწოდება კონკრეტულ აკადემიურ პერსონალს. ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, პერსოანლის შეფასების შედეგები (დადებითი და უარყოფითიც) წერილობით ეცნობოდეს აკადმეიურ პერსონალს, ინდივიდუალურ რეჟიმში და ამ პროცესს გააჩნდეს ფორმალიზებული სახე. აღნიშნული დადებითად აისახება პერსონალის მოტივაციაზე და ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანამანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- ხარისხის სამსახურის კვლევები
- ინტერვიუს შედეგები
- ვებგვერდი - sjuni.edu.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის სამსახურის ჩართულობა გაძლიერდეს პროგრამის მიზნების და შედეგების ურთიერთმიმართების და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად;

- რეკომენდირებულია, პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) წერილობით ეცნობოს აკადემიურ პერსონალს ინდივიდუალურ რეჟიმში და ამ პროცესს გააჩნდეს ფორმალიზებული სახე. აღნიშნული დადებითად აისახება პერსონალის მოტივაციაზე და ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☐	X	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოცემული საგანამანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებად მოიაზრება კოლეგიალური შეფასება, რომელიც ამ შემთვევაში განხორციელდა ორი უცხოელი

ექსპერტის მიერ. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, ერთი შეფასება არის მიმდინარე წლის აპრილში მომზადებული, ხოლო მეორეს არ ახლავს თარიღი. ორივე შემთხვევაში მხოლოდ ერთ გვერდიან დოკუმენტში არის შეჯამებული ძირითადი მიგნებები. ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა ინტერვიუების დროს გადაემოწმებინა რამდენად გამოადგა სასწავლო პროგრამას ეს შეფასებები, ან თუ მოხდა რაიმე ცვლილების განხორციელება ამ შეფასებბეის საფუძველზე. როგორც პროგრამის განმახორციელბლები აღნიშავენ, შეფასება ძირითადად პოზიტიურ ხასიათს ატარებდა, შესაბამისად, რიამე ძირეული ცვლილება არ განხორციელებულა. გარე შეფასების აღნიშნული მოდელის ეფექტურად გამოყენების მიზნით, რეკომენდებულია, შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა უშუალოდ პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის წარდგენამდე, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება. ასევე, მნიშვნელოვანია, გარე შეფასებაში ჩაერთოს ისეთი ექსპერტი, რომელიც იცნობს ქართულ კანონმდებლობას, კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს და შესაბამისად, ამ კუთხიდანაც შეძლებს პროგრამის შეფასებას.

სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის და ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები წარმოადგენს პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმს. ინტერვიუების დროს საუბარი შეეხო ბოლო წარმოებისას მიღებულ რეკომენდაციებს (2012 წელს). როგორც პროგრამის განმახორცილებლები განმარტავენ პროგრამის შედეგების და მიზნების შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით მათ გაწიეს სამუშაოები, დააჯგუფეს სწავლის შედეგები და ახალი რედაქციით წარადგინეს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის გარე ხარისხის უზრუნველყოფის ეს მექანიზმები მუშაობს, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესობას, რადგან მიმდინარე ვიზიტისას გამოვლინდა ხარვეზები პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკასთან მიმართებით (დეტალურად იხ. პირველი სტანდარტის შეფასება), რაზეც 2012 წლის შეფასებაშიც იყო საუბარი, რადგან მიმდინარე ვიზიტისას გამოვლინდა ხარვეზები პროგრამის შედეგებისა და მიზნების აცდენის მიმართულებით, შესაბამისად, რეკომენდებულია, ხარისხის გარე მექანიზმების უზრუნველყოფისას, სათანადო ყურადღება დაეთმოს პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანამანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები - ორი კოლეგიალური შეფასება
- ინტერვიუს შედეგები
- ვებგვერდი - sjuni.edu.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მოწვეული ექსპერტის მიერ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა უშუალოდ პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის წარდგენამდე, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

- რეკომენდებულია, ხარისხის გარე მექანიზმების უზრუნველყოფისას, სათანადო ყურადღება დაეთმოს პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☐	☐	X	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი წესებისა და პროცედურის დაცვით. კერძოდ, ამ პროცესში ჩართულია როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მათთან შეხვედრების საფუძველზე გამოიკვეთება საჭიროებები, რომლის განხილვაც ხორციელდება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში, შემდეგ ფაკულტეტის საბჭოზე და ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში, დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რა ფორმით ხდება ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა აღნიშნულ პროცესში. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები ძირითადად ავსებენ კითხვარებს, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. კითხვარის შინაარსი შეეხება კონკრეტულ სასწავლო კურსებს, ასევე, მოიცავს საუნივერსიტეტო სერვისებს. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ როგორ ახდენს უნივერსიტეტი იმის დადგენას, რომ კითხვარი შეავსო უშუალოდ სამიზნე ჯგუფმა და არა გარეშე პირებმა. იმის გათვალისწინებით, რომ კითხვარები ანონიმურია უნივერსიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას თავი დაიზღვიოს გარეშე პირების მონაწილეობისგან, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდირებულია აღნიშნული კითხვარები ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაეგზავნოთ სამიზნე ჯგუფებს, ასევე, განთავსდეს სწავლების ელექტრონულ სისტემაში და არ მოხდეს მათი ღიად ვებ-გვერდზე გავრცელება.

ინტერვიუს დროს დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ კონკრეტული სასწავლო პროგრამა მეტ-ნაკლებად ფარავს იმ საჭიროებებს რაც რეგიონში არსებობს. ისინი აცხადებენ, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ხშირად უკავშირდება და პირადად გასაუბრების გზით ცდილობს მათი საჭიროებების დადგენას, რომელიც ძირითადად უკავშირდება ინგლისური ენის ცოდნის დონეს და ამით კმაყოფილებას.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თუ მოხდა ამ პროგრამის დადარება უცხოურ ან ადგილობრივ ანალოგებთან. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ამბობს, რომ მათ მოიძიეს ორი უცხოური (თურქეთი, ისრაელი) და სამი ადგილობრივი ანალოგი (სოხუმის, თელავის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტები), ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ძირითადი თემატიკა არის იდენტური, მცირე რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტში დანერგილია კოლეგიალური შეფასების პრინციპი, კერძოდ, ფაკულტეტის ხარისხის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ყოველი სემესტრის დასაწყისში ადგენენ იმ აკადემიური პერსოანლის სიას, ვის ლექციაზეც უნდა განხორციელდეს დასწრება. პროგრამის ხელმძღვანელი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ესწრება სალექციო პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანამანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები - ორი კოლეგიალური შეფასება
- ინტერვიუს შედეგები
- ვებგვერდი - sjuni.edu.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს ღიად განთავსებული ვებ-გვერდზე, რათა არ მოხდეს გარეშე პირების მიერ კითხვარების შევსება. ალტერნატიულად, შესაძლებელია კითხვარი დაეგზავნოს სამიზნე ჯგუფს ელექტორნული ფოსტის და/ან სწავლების ელექტრონულ სისტემაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☐	x	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	x	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	x	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	x	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☐	x	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა, ინგა დიაკონიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა, ეკატერინე ბაკარაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა, ქეთევან გრძელიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა, გიგა ხოსიტაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა, თეონა კუპრაძე